ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3255155

ნომერი: AR1500917

თარიღი : 04.05.2017

გაცემის თარიღი : 15.05.2017

გაცნობის თარიღი : 15.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ქუჩა შეშელიძე , N 126 / ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ქუჩა შეშელიძე , N 126 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კვარაცხელია პ/ნ 01015010517
- თბილისი, ოქროყანა, ნიკო ბურის ქ. 4

ორგანიზაცია:
- შპს სოლიდ დეველოპმენტი კოდი: 405112514

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“-ს ველში ატვირთეთ კარგი ხარისხის, სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული ფოტოსურათები.
2. „ფოტომონტაჟი“-ს ველში ატვირთეთ ზემოაღნიშნული ერთ-ერთი ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, ღობის გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით (ამჟამად მითითებული ველი ცარიელია).
3. „ფაილის მიმაგრება“-ს ველში ატვირთეთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, საპროექტო ღობის კონტურის დატანით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, სამსახურის მიერ 2017 წლის 5 აპრილის №3176865 გადაწყვეტილებით გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიაზე დაგეგმილია დროებითი სამშენებლო ღობის განთავსება, გაცნობებთ, რომ ამგვარი ღობის მშენებლობის საკითხი სცდება სამსახურის კონპეტენციას. აღნიშნული გათვალისწინებულ უნდა იქნას სამომავლოდ შესათანხმებელი არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ორგანიზების პროექტში, რომელიც თან უნდა იქონიოთ სამშენებლო მოედანზე შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.